ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2662513

ნომერი: AR1412817

თარიღი : 13.06.2016

გაცემის თარიღი : 24.06.2016

გაცნობის თარიღი : 24.06.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ელიზბარ მინდელი , N10, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით დემეტრაძე პ/ნ 01009019114
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 51 კორ. 5 ბ. 48

ორგანიზაცია:
- შპს"ზეკარი" კოდი: 204854112

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

AR1412817 (13.06.2016) განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო გეგმით #01.14.05.006.001 მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთი დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით მდებარეობს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 1 (სსზ–1) – ში, საშუალო ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (მათ შორის გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. ასევე დასაშვებია ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 გადაწყვეტილების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობების არსებობა.

კოეფიციენტები:

მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0.5;
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) 3.5
მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,2

წარმოდგენილ ზონაში მოქმედი კანონმდებლობით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განსათავსებლად მინიმალური ფართობია 700 კვ.მ, მინიმალური სიგანე 20 მეტრი, მინიმალური სიღრმე 30 მეტრი. (თუ მიწის ნაკვეთს არ გააჩნია სწორკუთხა ფორმა, მის სიგანედ მიიჩნევა საზოგადოებრივი სივრცის/ქუჩის მხარე საზღვრების გაბარიტული ზომა, რომლის მიმართ მართობული ზომა მიიჩნევა მის სიღრმედ.)

აღბნიშნული მიწის ნაკვეთის გაბარიტები არ აკმაყოფილებს მოქმედი ზონის მოთხოვნებს, შესაბამისად სამშენებლო განვითარებაზე სამსახურის მიერ მსჯელობა ვერ განხორციელდება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.